პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

# ტარტაროზი

ფასი 10 კაპ.

№ 36 | კვირა, 14 თებერვალი, 1926 წელი. | № 36



შენაცვალოს დედა, როგორ ყოჩაღი ხარ...
ხმა შვილებზე ფეხით შენ [illegible] [illegible] ხარ...

მაგრამ, შვილო, მაგრამ შეუტიე ყველასა:
ამ საზღვრის [illegible] შენზე [illegible] შვილასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაფრთხილება

**ბრძანების მაგიერ**

**მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ თანამშრომელთა საყურადღებოდ და წასაკითხად**

ჩვენ ეჭვი არასოდეს არ შეგვძლიოდა (და არც ახლა შეგვძლის), რომ თქვენ ყოველთვის გვაწვდიდით (და გვაწვდით) ადგილებიდან სწორს და უტყუარ ცნობებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ არასოდეს არ იკადრებთ (და არც გიკადრებიათ), რომ სიცრუეში სიმართლე გაურიოთ, ანდა, პირიქით: სიმართლეში სიცრუე.

თქვენს მიერ მოწოდებული ცნობა ან ხალასი სიცრუე იყო, ანდა ხალასი სიმართლე. როცა მართალი იყო, მაშინ ტყვილი არ იყო, ხოლო, როცა ტყვილი იყო, მაშინ მართალი არ იყო. (ამაში, მე მგონია, თქვენ დაგვერწმუნებით...) ასე რომ თქვენი მასალა ყოველთვის ხალასი იყო და რედაქციას აღარ უხდებოდა მათი შემოწმება, ანალიზში გატარება; სიცრუეთ თავისი გზა ჰქონდა,—და სიმართლეს კი—თავისი.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, ხშირად მომხდარა, რომ სიცრუე და სიმართლე ერთმენეთში ყოფილა არეული.

რა თქმა უნდა, ასეთი ამბავი ვერ არის კარგი... ძნელია გარკვევა, თუ რა არის ტყუილი და რა სიმართლე, ჩვენ არ გვქონდა ისეთი ტეხნიკა, რომლის საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო ტყუილის დაჭერა, გამოაშკარავება. არც გვიფიქრია, ამნაირ ტეხნიკის და მანქანის გამოგონებაზე... მართალი ხალხი ვართ და ტყუილის გამომცნობი მანქანა ჩვენ არ გვესაჭიროებოდა, თორემ მისი გამოგონება არც ისე დიდი საქმეა, როგორც ეს ამერიკელებს ჰგონიათ.

რა თქმა უნდა, ამერიკას არ გაუჭირდებოდა ასეთი მანქანის გამოგონება, რადგან იქ ყველას სჩვევია ტყუილი.

ამბობენ: ამერიკელი ტყუილისათვის ხელს ჯიბეში არ ჩაიდებსო... ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ხელშიც ბლომად აქვს ტყუილი და აღარ სჭირია ჯიბე, რომელშიც დოლარებთან ერთად დოლარების ოდენი ტყუილიც თანა აქვთ.

და რა გასაკვირველია, რომ ამერიკაში გამოიგონეს ტყუილის გამომცნობი მანქანა!

მათ თორემ, ჩვენ რა?

იმათ აღარ ექნებათ ამიერიდან ერთმანეთის დანდობა, რადგან ყოველთვის გაუგებენ ერთმანეთს ტყუილს.

---

ეს ამერიკაში... მაგრამ ამ მანქანას არა ნაკლები მოთხოვნილება ექნება (და უკვე აქვს) ჩვენში.

სანამ ჩვენ ისე განვავითარებდეთ ჩვენს ტყუილს, რომ თვითონ ჩვენ გამოვიგონებდეთ ტყუილის გამომცნობ მანქანას, ბევრი დრო უნდა.

ამიტომ ჩვენ შევიძინეთ იგი ამერიკისაგან და მივეცით საფასურათ რაც ერთი წლის განმავლობაში დაგროვდა თბილისის ყველა გაზეთების რედაქციებში შემოსულ ცნობების ტყუილი.

ერთი ასეთი მანქანა „ტარტაროზი“-ს რედაქციამაც შეიძინა.

ამიერიდან თქვენს მიერ მოწოდებული მასალები გატარდებიან ამ მანქანაში. ისე რომ თქვენ ვალდებული ხართ მოგვაწოდოთ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც სრულ სიმართლეს შეიცავს.

ამავე დროს გაფრთხილებთ, რომ თითოეული თქვენგანი უძრავ-მოძრავი თავით პასუხისმგებელი ხართ ტარტაროზის წინაშე ცნობების სიმართლეში... ხოლო თუ რა ხურმაა ტარტაროზის წინაშე პასუხისგება, ეს თქვენ კარგად უნდა იცოდეთ.

ყოველივე სიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოგვეცა თქვენთვის ეს გაფრთხილება და მით უფრო, რომ ყველა ჩვენმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ „ტარტაროზი“ ლმობიერი არავისთან არ არის, როგორც გარეშესთან, ისე თავის თანამშრომლებთან.

ტარტაროზი.

# ზღაპარი სინამდვილიდან

„დაცემული ფრანკის კურსის ასაწევათ სახალხო-მეურნეობის ყოველ საგანზე იქნება შემოღებული გადასახადი საფრანგეთში“.

გაზეთებიდან.

I

იყო და-არა იყო რა,
რაც არ ყოფილა—არ არის,
მაგრამ, მთიანის ჩრდილს ვფიცავ—
რომ ეს არ გახლავთ ზღაპარი.

—სრულ ასიოდე წლის წინად—
(ან კი რა დიდი ვადაა!
ათასი წლობით, იცოცხლოს—
ხანჯროში ყველა მზადაა).

ჰო, და—მას მოგახსენებდით—
სრულ ასიოდე წლის წინათ—
როც დღეს საფრანგეთს დღე ადგას—
ჩვენც იგი გვადგა პირწმინდათ.

თურმე რუსეთის ხაზინას
ოტროზის აჩნდა ნიშანი—
(ან ვის ამაყ ქედს არ მოჰხრის
ეს ფუფუნობა მიწმაგი!)

ამ დროს აქ, კავკასიაში
(თუ კი მწამს მე დღე მზიანი)
შემკვიდრეთ „ნამესტნიკისა“
ყოფილა ორბელიანი.

პოეტი, ძველი მწერალი,
თან გენერალიც დიდია!
(პროლეტპოეტი კი არა
ჩინი, რომ ფეხზე ჰკიდია)

უზარმაზარი მამულის
და მრავალ ყმათა ბატონი,
თიხფენა მრავალ ულაყის
და ვირთა ჯოგის პატრონი.

თან „ნამესტნიკიც“ ყოფილა—
მერე რა კაცი რამ ხელა?!
და რაც მას საქმე უქნია—
მე დღესაც მიჭირს გამხელა.

თურმე გამოსცა „დეკრეტი“:
— წუხრავინ გაიკვირვებსო,
მაგრამ დღეიდან „ნალოგი“
უნდა დაედვას ვირებსო!“

ვირი და გადასახადი!
გადასახადი და ვირი!
რას იზავ: უნდა იცეკვო—
ზევიდან ისმის დაირა!

მაგრამ, მაშინდელ—ღარიბ ხალხს
არ სურდა უხმოთ ცეკვანი:
მათ ყურს არც სიამოვნებდა
ამ „ნამესტნიკის“ ეჟვანი.

სთქვეს:—აწ ისედაც სულს გვხდიან,
ნალოგს ადებენ პიტნასა,
და ეს ვირების ნალოგი
ვინ, სად, ან რატომ მიტმასნა?!“

—

აბუნტებულან ყველანი,
გლეჯდენ ქვასა და მიწასა—
სწვევიან „ნამესტნიკისა“
აწ კარებს სასახლისასა:

— შვილებო, რისთვის მოსულხართ
ვინ რითი მოგცათ ზიანი?
მითხარით მოსვლის მიზეზი?
— მიმართავს ორბელიანი.

# „გოროტი განზრახვა“

„ყოფილ ზარიტსინსკის ქუჩას ეხლა უწოდებენ ერთ მხარეს ჯორჯიაშვილის და მეორე მხარეს—ლიბკნეხტის“.



ალმასხანიძე ცდილობს, რომ ჩვენს შორის შუღლი ჩამოაგდოს, მაგრამ ვერაფერს გახდება. რევოლიუციონერებს მაგრამ ადგილიდან ვერ მოაგვარებს.

— ვა, დალოცვილო—ნალოგი—
მერე ასეთი—იქნება?
ლამის წაგვიღოს—ძია-ჯან
ჩვენ ამ ნიადაგის ფიქრებმა!

— რომელ ნალოგზე მითითებთ
რატომ არ მეტყვით შვილოსა?
— და „ნამესტნიკი“ აქ განგებ
„ტონს“ იღებს სასაცილოსა.

— აი, ბატონო ეხლა ხან,
რომ გაგიცია „ზაკონი“—
ვინ არის, შენი ჭირიმე,
ვირზე ნალოგის გამგონი?

— ჰო, საქმე რაში ყოფილა!..
რა მოგვლენიათ ნისლათა!“
და დინჯი ორბელიანი
განაგრძობს დარბაისლათა:

— მართლა, ნუ თუ ეგ გაწუხებთ—
სხვა, მეტი არაფერია?
მერე და ეგ „ზაკონები“
ჩემ ვირებზეც ხომ სწერია?

— შვილოსა, „ნამესტნიკი“ ვარ
მთელ „კანკასიის“ უფალი,
მაგრამ მაგ ნალოგებისგან
არც მე ვარ თავისუფალი.

მაგას მეც მახდევინებენ—
აი, თუნდა ჰკითხეთ ჩემ ვირებს—
და ახლა თქვენ რას წუწუნებთ!
სთქვით დღეს—აქ, ვის რა რქები რევს?

— შე დალოცვილო—სთქვა ერთმა,
ეგრე თქმა სადაურია?
რატო ინებებთ, რომ მთელ ხალხს
პირზე წაგვისვა მურია?

—თქვენ ვირებს თითონ თქვენ არჩენთ
ჩვენ კი—ჩვენვე გვარჩენსო—
მათი ერთგვარად დაბეგვრა—
ვით ძალუძს თქვენ განაჩენსო?“

მართლაც ვინ იყო მართალი:
— ხალხი თუ ორბელიანი?
ამას დათვიც კი გადასწყვეტს
დედალი, ორ-ბელიანი.

II

იყო და არა იყო რა,
რაც არ ყოფილა—არ არი,
მაგრამ ბრიანის ჩრდილს ვფიცავ,
არც ეს გეგონოთ ზღაპარი.

სულ ასიოდე წელს შემდეგ
(ან კი რა დიდი ვადაა)
„ნალოგი“ დასდვას ვირებზე
ეხლა ბრიანიც მზადაა.

ტურფაა ფრანგთა ქვეყანა,
ლამაზი არის ფრანგია—
ულამაზოთ კი ეცემა
დღეს ძირს ფრანგული ფრანკია.

უკვე ქვეშ მოიტანია,
მან აწ კაიო ჭკუიანი,
მასვე გადაჰყვა პენლევე
და გადაყვება ბრიანი,

მაგრამ... დალუპვა ამ პირთა
საქმეს უშველის რამესა?!
ამბობენ, რომ ერთი სანთლით
დღით ვერვინ აქცევს ღამესა.

რა იხსნის მდგომარეობას?
— ბრიანის აზრით: „ნალოგი“,
მაგრამ ეს უფრო თითია
ცარიელ პირში ნალოკი.

ნალოგი—გლეხის მონაგარს,
იხვს, ბატს, ქათამს და... ვირებს,
ფონს გასვლას ჩვენი ბრიანი
ამგვარი ხერხით აპირებს.

გლეხს როს მარჩენი ვირი ჰყავს
ისიც კი დაიბეგრება—
მთავრობას ვირის თავფეხი,
გლეხს კი—ესეც არ ერგება!

გლეხს მარჩენალი ვირი ჰყავს,
მას არ აძლევენ არაქათს,—
ხოლო სარჩენი ორფეხნი—
სწოვდენ კვლავ ხალხის ბარაქას!

—

აწ ღმერთმა კი შეარცხვინოს
საქმე ამაზე ჭკვიანი—
„ნალოგებს“ იხდის ვირისას
გლეხის ზურგიდან ბრიანი.

გლეხის ზურგიდან ბრიანი.
ბრიანი თავის ვირებსა—
და მოქმედება ასეთი
დღეს ნურვის გააკვირებსა!

უჩარდია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არის დამნაშავე?

„გუშინ დილით ვიღაც უცნობი თავის დაღრჩობას აპირებდა მტკვარში, მაგრამ როცა წყალი ცივი აღმოჩნდა. თავის დახრჩობა გადასდო ზაფხულამდი“.
„ტარტაროზი“ № 35.

უკაცრავად, მოქალაქე ტარტაროზო!

ის უცნობი, რომელიც „თავის დახრჩობას აპირებდა მტკვარში, მაგრამ როცა წყალი ცივი აღმოჩნდა, თავის დახრჩობა გადასდო ზაფხულამდი“, გახლავარ მე.

თქვენთვის ყალბი ცნობა მოუწოდებიათ...

უკაცრავად;

ყალბი იმ მხრივ, რომ მე თავის დახრჩობა გადავსდე ზაფხულამდი არა იმიტომ, რომ ეხლა „წყალი ცივი აღმოჩნდა“, არამედ სხვა მოსაზრებით.

სიცივე მე ვერ შემაშინებს. მგონი თევზსაც არ ექნება ჩემსავით ცივი სისხლი. მე არ ვიცი ცეცხლის გემო; მისი სიმხურვალე მას შემდეგ არ მიგრძნია, რაც, ორი წლის უკან სოფელში ერთი ქოხი მქონდა და ისიც დამეწვა.

ასე რომ, თქვენი ქრონიკიორი ცილს მწამებს, თითქოს მე სიცივემ შემაშინა.

საქმე შემდეგშია.

როცა საშუალო სასწავლებელი დავასრულე (ეს იყო გასულ წელს), უნივერსიტეტში არ შევსულვარ და ვამჯობინე გამეთავებინა ბუჰალტერიის (ინწკირველის) კურსები.

თქვენ იქნებ გაგიკვირდესთ: თუ რად ვამჯობინე კურსები უნივერსიტეტს?!.

ერთ დღეს (ო, წყეული იყოს ის დღე) ჩვენს მეზობელს, რომელსაც გვარიანი ადგილი ჰქონდა ერთს დაწესებულებაში, ვსთხოვე სამსახურში მოვეწყვე.

და მართლაც, მე ვხედავდი, რომ **„ბუჰალტერია ყველაფერია“.**

ოთხი თვე... მერე სამსახური... გაჰკარი და გამოჰკარი... რა უნდა ამდენი... მოეღება ბოლო ჩემს ტანჯვას... როცა ხელში „დიპლომი“ მექნება, მაშინ ხომ უარს ვერ მეტყვიან?!. ახლა კი მიზეზობენ...

ჰო-და ეს იყო, ტარტაროზო, რომ უნივერსიტეტს თავი დავანებე.

მახსოვს როგორ გაჭივრებული დავდიოდი მოანგარიშის კურსებზე...

ხშირად მე და პარმენს (ჩემი ამხანაგია) ხმელი პურიც არ გვქონებია...

ვინც კი ნაცნობი გვყავდა, ყველასგან გვქონდა ფული ნასესხები.

— აბა, დღეს ვისთან მივიდეთ?.. ვის გამოვართვათ ფული?

— გადახედე სიას, თუ ვისთვის გამოგვირთმევია იმ თვეში,—და ისევ იმას გამოვართვათ.

— არა, ძმავო, მე მასთან კიდევ ვერ მივალ და ფულს ვერ ვსთხოვ?

— რისი გრცხვენია, კაცო... ჩვენ კი არა, ევროპის სახელმწიფოები დადიან ჩვენსავით ფულის სათხოვნელად ამერიკაში... შენ კი ამ უბნიდან იმ უბანში ერთი მანეთის სასესხებლად წასვლა ვერ გაგიბედია!..

— კი მარა, აკი გვმართებს იმ კაცის და კიდევ როგორ ვსთხოვო?

— არ ვარგხარ, ძმაო, არა... ბიჭო, იტალიას, საფრანგეთს, პოლონეთს და სხვებს ყველას მართებს ამერიკის და ინგლისის, მარა მაინც კიდევ სთხოვენ.

— არა, ძმაო, მრცხვენია... მე მაგის შუბლი არ მაქვს...

— შენ რომ ხეირი ქნა, შენს მტერს დაამადლე... შე ოჯახდაფუშუკულო, მინისტრებს თუ არ სცხვენიათ ფულის თხოვნა, შენ ვინხარ, რომ გცხვენია?!.

— კარგი მარა, რომ გამაწბილოს?

— მერე რა?.. შენ კი არა ბრიანი გააწბილეს ამერიკაში, მარა თავი არ მოუკლავს?.. დღეს ასეთია, ძმაო, ცხოვრების ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენ კი არა, სახელმწიფოებს არ აქვთ ფული... თხოვნა სირცხვილი კი არ არის...

— კი მარა, რაღა მე მიკითხავ ლექციას და მასწავლი ჭკუას? თვითონ შენ წადი...

— ეჰხ! ახლა ერთი შენც დაიწყე რაღა.

## „გაფრენა უბადოთ“



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელისუფლება—ხელის უფლება



 აი ჩვენი ყოველდღიური სცენა, როცა მუცელში შორეულ გრგვინვასავით მოისმოდა რაღაც საზარელი ხმაური.

—:—

როცა დიპლომი მივიღე, პირდაპირ ჩემს მეზობელთან წაველი დაწესებულებაში.

— აბა ჩემო ხალამპრე—...

ამდეხანს სად იყავი? გუშინ მივიღეთ კაცი... ამდენი ხანი გინახე ადგილი და ბოლოს რაღა მექნა?—

— არა უშავს... სამსახურის მეტს რას ვიშოვი... ჩემი პროტექცია—ჩემი დიპლომია.—ასე ვფიქრობდი ხალამპრედან მომავალი.

—:—

მუშკოოპი ახალ სავაჭროს ხსნიდა ჩვენს ქუჩაზე.
გამგეობაში განცხადება შევიტანე.

— შრომის ბირჟის წიგნაკის ნომერი?—

— რა წიგნაკი?.. რა ნომერი?

— თქვენ უმუშევარი არა ხართ?

— შე დალოცვილო, დამცინი თუ რა არის? უმუშევარი რომ არ ვიყო და სამსახური მქონდეს, ამ განცხადებას რატომ მოგცემდი?!. უმუშევარი ვარ მაშ?!.

— ჯერ შრომის ბირჟაში ჩაიწერეთ და შემდეგ შეიძლება თქვენი თხოვნა განხილულ იქნეს...

— არც მაგაზე გაწყენინებთ... სადაც ამდენი ტანჯვა გადამიტანია, ამასაც გაუძლებ... მადლობა ღმერთს, შრომის ბირჟა შორს არ არის... ხელად ჩავირბენ და ჩავიწერები... ერთს საათში მოგიტან, და ადგილი ჩემზე იყოს შენახული...

— ჰო... კარგი... ერთს საათში.—ირონიულად გაიღიმა და ზურგი შემომაქცია.

შრომის ბირჟაში გავჭიანდი...

— აბა... აბა... გამატარეთ... ჩქარა... გაიჩოჩე, კაცო.»

სარი ხომ არ გადაგიყლაპავს, რომ გაშტერებულხარ მაქა-ნე არქიმანდრიტრის ჯორსავით?!.

— ვა!.. ეს რომელ ტყიდან არის გამოვარდნილი?!.

— შენი ტყე კი ვიცი მე. ამ ერთხელ მოვსულვარ აქ, და ამის მეტი მორიდება არა გაქვთ?..

— შე ოსურო, ჩვენ უნდა მოგერიდოთ, თუ შენ უნდა მოგვერიდო ჩვენ, რომლებსაც აქ დგომის ორი-სამი წლის სტაჟი გვაქვს?!.

—:—

— აბა, თუ ხათრი გაქვთ, მალე ჩამწერეთ და წიგნაკი მომეცით... სამსახური ავარჩიე და თუ თქვენგან მოცემული რაღაც ოხრობა წიგნაკი ყოფილა არ წარვადგინე, ისე არ მღებულობენ?

— თქვენ რომელი კავშირის წევრი ხართ?

— მოანგარიშის.

— ხა-ხა-ხა-ხა—მე კავშირს გეკითხებით; კავშირის წიგნაკი...

— არა მაქვს...

— თქვენ კავშირის წევრი არა ხართ?

— როგორ?.. ეს სავალდებულოა აქ ჩაწერისათვის?

— აუცილებლად?..

— კავშირი სად არის...

— აი, დიდი სახლი რომ არის... მუშათა სასახლე...

—:—

— ძალიან მახლაფორთებენ, მარა ღმერთი მაინც მე მწყალობს... კავშირიც აქავე არის... რაზ... დვა... და იქ გავჩნდები... მივალ კავშირში... წევრად ჩამწერენ... მომცემენ წიგნაკს... წიგნაკს მიუტან შრომის ბირჟას, იგი მომცემს სხვა წიგნაკს... და მიუტან მუშკოოპს... დავგრეხ თოკსა ბაწარსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან ჩემს სამსახურსა...

—:—

— შე გენაცვალე... არ დამაგვიანო...

— რა გნეიავთ?..

— ჩამწერეთ და საჩქაროთ მომეცით საწევრო წიგნაკი, თორემ უმისოდ შრომის ბირჟა ყოფილა, რაღაც ოხრობა, მუშკოოპში სამსახური ვიშოვე და არ მგზავნიან.

— თქვენ ჩვენი კავშირის წევრი ხართ?

— კაცო, თუ ხათრი გაქვთ, ნუ მახლაფორთებთ... რა ვიცი მე ვისი ვარ... თუ თქვენი არ ვარ, ჩამწერეთ და თქვენი ვიქნები... რა დროს შენჩემობაა ახლა!?.

— ამხანაგო, თავის კავშირს უნდა მიმართოთ...

—კაცო, გეუბნები, რომ ჯერ არ ვარ კავშირის წევრი და ამიტომ გთხოვთ: ჩამწეროთ და წიგნაკი მომცეთ...

— ხოოოო... თქვენ კავშირის წევრი არ ყოფილხართ... ჩვენ წიგნაკს ვერ მოგცემთ.

— მაშ ვინ მომცემს?!!

— სამსახურიდან უნდა წარმოადგინო შესაფერი ქაღალდები, რომ თქვენ იქ მსახურობთ... ამის შემდეგ შეგვიძლია მოგცეთ თქვენ საწევრო წიგნაკი.

— მაშ ჯერ უნდა ვიმსახურო?..

— დიახ! დიახ!

— უკაცრავად...

—:—

— ერთი ისეთი უნდა ვუყერო ყურის ძირში, რომ სულ „ვაიდედა“ ვაძახო... არაფერიც არ სდომებია... ჯერ სამსახური უნდა იშოვო და მერე უნდა ეს ხლაფოთი... მატყუილებდენ მუშკოოპში... მარა ხომ დავიჭირე ეხლა?.. —ასე ვფიქრობდი, როცა კავშირიდან გამოვდიოდი.

—:—

ხუმრობა ხუმრობაა, მარა მე კი გამათავეთ დღეს... ბმისანა სამსახურის შოვნასაც რა ვუთხრა მე... როდის მოვიდე მუშაობის დასაწყებად?

— შრომის ბირჟიდან მოიტანე ქაღალდი?

— არაფერი შრომის ბირჟა და კავშირი არ სდომებია... თვითონ თქვენ უნდა მომცეთ ქაღალდი, რომ მე აქ ვმსახურებ და მერე ჩამწერენ ისინი.

— თქვენ რას სულელობთ?! ჩვენ უფლება არა გვაქვს არაკავშირის წევრი და არაუმუშევარი მივიღოთ...

—:—

უარი ეთქვას...

კაი ამბავია...

ორი-სამჯერ გავაკეთე მაშრუტი საქმის გამოსარკვევად...

ყოველთვის იგივე პასუხი მივიღე.

სამსახურში არ მიმიღეს, იმიტომ, რომ შრომის ბირჟაში არ სწერიხარო.

კაცო, რაშია საქმე?

მაშ ვინ ოხერს ჰქვია უმუშევარი?

და უკანასკნელად, როცა მე ერთხელ კიდევ მივმართე შრომის ბირჟას,—გავეგზავნე სამსახურში, და მან ჩვეულებრივი უარი მითხრა,—გამოვედი და, როცა კარლ მარქსის ხიდზე შევდექი, თავის დახრჩობა გადავსწყვიტე. ის იყო, მოვუხვიე და ნაპირზე მივედი.

მე უდარდელად დავიხრჩობდი თავს, მაგრამ როცა წყალში გადასკუპება დავაპირე, უცბად თავში გამიელვა:

— თავს რომ ვიხრჩობ, არა უშავს... ძალიან კარგი... მაგრამ ნუთუ არ უნდა ვიცოდე ჩემს ცოდვაში **ვინ არის დამნაშავე:**

**შრომის ბირჟა, კავშირი და მუშკოოპი?..**

არა, მე ეს უნდა გამოვარკვიო, თორემ იმ ქვეყნად დაუსჯელი დამრჩება ჩემი დამღუპველი, რადგან არ მეცოდინება **ვინ არის დამნაშავე**, რომ მას ბრალდება წავუყენო ღმერთის წინაშე.

—:—

აი, მოქალაქე ტარტაროზო, მიზეზი იმისა, თუ რატომ გადავსდე თავის დახრჩობა.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ მე სიცვის არ მეშინია... და თუ თქვენ ეს არ გჯერათ, მე თანახმა ვარ თქვენს წინაშე ეს დავამტკიცო, მხოლოდ შემდეგი პირობით:

თქვენ გამოიკვლიეთ და მომეცით ხელში, თუ რომელია მათშორის **დამნაშავე?**

როცა თქვენ მე ამას გამაგებინებთ, მე გაზაფხულსაც არ დავუცდი და სისრულეში მოვიყვან ჩემს განზრახვას.

**ჰინჰარი.**

**მაგ საქმის გამორკვევა შეუძლებელია. განაგრძეთ სიცოცხლე.**

**თქვენ უზრუნველყოფილი ხართ თავის დახრჩობისაგან, რადგან ამ საკითხის გამოკვლევა ძნელია.**

**ტარტაროზი.**



ფიზკულტურაში იწვრთებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგვეცით ჩვენი კბილები

სამტრედიის დამზღვევ სალარომ გამოაცხადა: ვისაც არა გაქვთ საღი კბილები, შეგიძლიათ დაიძროთ ექიმთან და ახალი ჩაიდგას. ყოველივე ხარჯს კისრულობს დამზღვევი სალარო. ასეც მოვიქეცით. დავიძვრეთ კბილები, მაგრამ ეხლა ყველა უკბილოდ დავრჩით. დამზღვევი სალარო ყურადღებასაც არ გვაქცევს.



კბილებდამძვრალნი (ექიმს) ჩქარა კბილები ჩაგვიდგი, თორემ მოთმინებიდან გამოვედით. ხაჭმეული ვერ გვიჭამია... ჩვენი ლაბორატი, —ლაბორატს არა ჰგავს და...
ექიმი. მოქალაქენო, დამშვიდდით; ეს კარგია, რადგან ხაჭმეულს ვერ სჭამთ და ხარჯი ნაკლები გექნებათ...

# შეფობა სოფელ წაბლარზე

I

**ხმა იდუმალი.**

საქართველოში ბევრია სოფელი და ერთ მათგანს ერქვა წაბლარა. მარჯვნით მთა, მარცხნივ მთა, შუაში მდინარე და მდინარის პირად ფერდობზე სოფელი იყო გაშენებული. მდინარეში იყო თევზები, მაგრამ ისე პატარა, რომ ბაყაყიც კი აშინებდა.

წაბლარაში ადრე იძინებდნენ და ადრე იღვიძებდნენ. ეს დღეც ჩვეულებრივად გათენდა, მაგრამ ჩვეულებრივად არ დაღამებულა.

II

მოისმის სიმღერა, რომელიც თანდათან ახლოვდება. შარაგზაზე გამოჩნდენ გაკვირვებული გლეხები. ისინი იყურებიან იქიდან, საიდანაც სიმღერა მოისმის.

**1 გლეხი** მაყრები ხომ არაა?

**2 გლეხი** ქვევითა მოდიან, მაყრები არ უნდა იყვნენ.

**3 გლეხი** დროშები მოაქვთ!

**4 გლეხი** ქალაქის ხალხი იქნება!

მუშები შემოდიან სიმღერით. ერთ-ორს დროშა უჭირავს.

**1 მუშა** ქალაქის პროლეტარიატის სახელით მოგესალმებით თქვენ, სოფლის პროლეტარიატს. ქალაქის მუშა და სოფლის გლეხი—ეს ის ძალაა, რომელიც...

**1 გლეხი** თუ უკაცრავად არ ვიყოთ, ვინ ბრძანდებით?

**2 მუშა** ჩვენ ვართ თქვენი სოფლის შეფები!

**4 გლეხი** შაფერები? ჩვენში დღეს არავისა აქვს ქორწილი.

**3 გლეხი** ალბად გზა აგცდებოდათ. ეს გახლავს წაბლარა. არავინ გათხოვილა ჩვენში.

**1 მუშა** ამხანაგებო! აქ პატარა გაუგებრობას აქვს ადგილი. ჩვენ ვართ თქვენი სოფლის შეფები. ვიკისრეთ ვიზრუნოთ თქვენ სოფელზე. გაგიხსნათ კოოპერატივი, სამკითხველო, გზები გავაუმჯობესოთ... გამოგიგზავნით სამეურნეო იარაღებს, ტრაქტორებს, ნაჯახებს. ეს ყველაფერი უფასოთ მოგივათ.

**გლეხები** შენ აგაშენა ღმერთმა! ასეთი კაი სიტყვა ჯერ არავისაგან გვსმენია! შენ აგაშენა ღმერთმა!

**1 გლეხი** აი შეხედე, სულ ჩამომტვრეული აქვს პირი თოხს, ბალახი ვერ ამოთხარა.

**2 გლეხი** სპიჩა-ნავთი გამოგვიგზავნეთ, ბნელაში ვცხოვრობთ.

**2 მუშა** ამიერიდან თქვენ აღარ დაგჭირდებათ ნავთი. ჩვენ აქ გამოგიყვანთ ელექტრონს და მთელ სოფელს გავაჩირაღდნებთ.

**3 გლეხი** შენ გიშველა ღმერთმა! ქოხის წინ ერთი ხე დგია. შემოეჩვია იმ ხეს ბუ და მთელი ღამე დამკივის, თითქო მიცვალებული მყავდეს შინ. ჩამოვკიდებ იმ ელექტრონსა იმ ხეზე და როცა სინათლეს დაინახავს, მომშორდება მაშ რას იზამს.

**მუშები (მღერიან)**

ჩვენ ვართ შეფები
თქვენი მეგობრები;
გიხაროდეთ წაბლარლებს,
ჩვენ მოგიტანთ ყველაფერს.
თოხი, ცელი, ნაჯახია,
რაც რომ ჩვენი ნაჯაფია
ყველა თქვენთვის მოგვიცია...
ჩვენ ვართ შეფები
თქვენი მეგობრები.
გაუმარჯოს წაბლარას
ნათელს, ელექტრონიანს.
გაუმარჯოს სოფელს და
ქალაქის პროლეტარიატს.

**გლეხები**

ეხლა დაგვიდგა საშველი,
დღე გათენდა ბედნიერი.
ახალ ნამგლით პურსაც მოვიმკით.




**ჩემბერლენი ბრიანს**
ძლივს-ღა მოვუყარეთ თავი ამ გაფუჩეჩებულ ხალხს.
ეს ერთი დიდი ხანია გამზრდელი იყო, მაგრამ, მადლი მა ღმერთს, წმინდა ლოკარნოს წყალობით, ცოტა ჭამაზე და ამათაც აქ დავაბამთ...
ხბოების შეხედე კი,—რა მოვაგროვე.

ჰოთმენა, ჰური, ჰური!
გაუმარჯოს წაბლარას
ნათელს ელექტრონიანს.
გაუმარჯოს ახალ თითს
ნაჯახს მაგარ ტარიანს.

**ხმა იდუმალი**
პიროვნულად, მისალმების შემდეგ, როგორც რიგი და წესია, შეფუნის მეთაურმა მოისურვა წარკითხვა საერთაშორისო მდგომარეობაზე. ბევრი ილინა ინგლისი, საფრანგეთი, პოლონეთი. ბოროტებს ლორდი უწოდა, კაპიტალისტებს კიდევ უფრო უარესი.

IV

1 **მუშა** როგორც თქვენ დარწმუნდით, ამ ქვეყნებში კიდევ ცხოვრობს ის საზიზღარი ხალხი. ისინი არიან მუშების ხროვა, რომელიც რომ...
1 **გლეხი** ივინე მათი რიცხვი არ იყოს!
2 **გლეხი** არ დაზოგო!
3 **გლეხი** არ შეგეშინდეს, აქედან ერის წამლები არიან იქნება!

V

**ხმა იდუმალი.**
მოსხუნების გათავების შემდეგ შუდები დაბრუნებას აპირებენ, მაგრამ სტუმარ-მოყვარე წაბლარელებმა და გამასკულატებით მას შემდეგ, როცა აშენებას დაპირდა ეს ხალხი, მათ არ უშვებდნენ.

VI

1 **გლეხი** როგორ გვეყვარებით! თქვენი წასვლა როგორ იქნება! ლელეს ჩვენი სტუმარი ხართ!
2 **გლეხი** თავი სად გამოუჩინოთ ასე მშიერ-მწყურვალი რომ გავიშვათ!
3 **გლეხი** თავის მოშრა იქნება, როგორ შეიძლება! ლელეს ჩვენი სტუმარი ხართ!
4 **გლეხი** აშენების გეპირდებით და თქვენთვის ერთი ღუმე დაუიშვერთ? სხვა რომ არაფერი ვიშოვოთ, ჩემ ერთად-ერთ ხარს დავკლავ!

VII

**წამკითხავი.**
წაბლარელებმა არ გაუშვეს ქალაქიდან ჩამოსული სტუმრები, თუმცა ისინი წასასვლელად იჭერბოდნენ. მართალია, ხარი არავის დაუკლავს, მაგრამ სხვა არაფერი დაუკლიათ. დაუკლეს ინდური ბატი, ქათამი, ინდაური, რომ ღელეებად დაიდო სისხლი და ხალხს მოაგონდა ზღაპრად გაგონილი სისხლის წვიმების დრო. მალე შეიწვა ყველაფერი და სასიყვარულო ლხინი გაიმართა.

VIII

სტუმრები და დამხვედრები მიუსხნენ სუფრას და ლხინობენ. თოის სმა, ჭამა, სიმღერა. მღერიან მუშები, მღერიან გლეხები.

IX

**ხმა იდუმალი.**
პატარა ხნის შემდეგ ლხინი ძალიან გაცხვა.

X

ბჭარბით რომ ძალიან დაითვრნენ, კოცნიან და ეხვევიან ერთმანეთს.
1 **გლეხი** შენ გენაცვალე სიყვარულში! ერთი შენ თვალებში მაკოცინე!
2 **მუშა** ოქრო ხარ! ოქრო ხარ!
1 **მუშა** ამხანაგებო! საერთაშორისო პროლეტარიატი...
3 **მუშა** შენ გენაცვალე მაგ ენის კლიტეში.
4 **მუშა** გადაისხილე ეგ პირზამწერეული ნაჯახი. მალე ისეთს მიიღებ, რომ...
4 **გლეხი** (გადაისხურის) ეს ძველი და სხვა ახალი!

XI

**ხმა იდუმალი.**
გახარებული წაბლარელები არაფერს ზოგავენ. იყვნენ უხვი მასპინძლები. შეუწუხაც ისე გაუტყდა ლხინი, რომ მთელი დღე და ღამე დარჩნენ სოფელში. მეორე დღეს თუმცა ძალიან გზაკრებულები წასვლა და ითხეს, არ უშორიალებოდნენ, მაგრამ მეტი ჯანი არ ჰქონდათ და წავიდნენ.

XII

მუშები და გლეხები გამოეთხოვებიან ერთმანეთს.
1 **გლეხი** კიდევ ერთი დღე მოგვეთმინეთ.
2 **გლეხი** ნაწილი არ წაიღეთ ჩვენგან.
3 **მუშა** გულიანი სავსე ვაქთ პატივისცემით.
2 **მუშა** სამაგიეროს ჩვენზე იყოს.
4 **გლეხი** რაც შეგვეძლო, არ დავიშურეთ.
4 **მუშა** სამაგიეროს ჩვენზე იყოს.
1 **მუშა გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს! ყველა გაუმარჯოს!**
1 **გლეხი** დაპირებული არ დაგვივიწყოთ!
მუშები მალე ძირეთი ყველაფერი! სიმღერით გადიან.

XIII

**ხმა იდუმალი.**
ამ დღიდან წაბლარაში მეტი უფრო ნათელი იყო, ჭადიც უფრო გემრიელი და ლობიოს ფერადეთი ინგლისური რასიტბითი და „გაუმარჯოს ი ლა ფერი" ვერ სჯობდა. ისე ბეჯითად დატრიალდა წაბლარის ცხოვრების დღეები და შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო, რომ წაბლარელები მოუთმენელი ხალხი არ ყოფილიყო. გავიდა ორი, სამი, ოთხი თვე. ქალაქიდან არც შეფები გამოგზავნილი მოსულა და მოკითხვაც არავის შემოუთვლია.

XIV

1 **გლეხი** მოგვატყუეს ვითომ?
2 **გლეხი** ოთხი თვე გავიდა და არაფერი ჩანს.
3 **გლეხი** ალბათ რაღაცაა დიდი რამეა... მაინც დაპირდნენ და იმიტომ იგვიანებენ.
4 **გლეხი** ვაი თუ სხვა სოფელში წავიდა ჩვენთან გამოგზავნილი. დავდგეთ გზიდან და ვუცქიროთ.

XV

**წამკითხავი.**
ამ დღიდან კიდევ ოთხი თვის განმავლობაში წაბლარელები იმედს არ კარგავდნენ და რომ გული დამშვიდებული ჰქონოდათ, ერთი-მეორის შეცვლით თითო დღეობით დგებოდნენ წაბლარელები და თვალყურს ადევნებდნენ, რომ მათთვის გამოგზავნილ ნივთებს გზა არ აცდენოდა და სხვა სოფელში არ ნასულიყო.

XVI

გლეხები რიგ-რიგობით დგებიან სადარაჯოზე
1 **გლეხი** მთელი დღე და ღამე აქ ვდგავარ და ტურის მეტი არავის გაუვლია. სჯობს შინ წავიდე.
მიდის. როცა გათენდება საგუშაგოზე მეორე სდგას.
2 **გლეხი** თვალები გამობლუნდა ამდენი ყურებით. სჯობს შინ წავიდე.
მიდის. როცა გათენდება მესამე სდგას.
3 **გლეხი** თუ გამოსაგზავნი იყო აქამდისაც მოაწევდა. ტყუილა დავკარგე ამდენი დრო!
მიდის. გათენდება და მეოთხე სდგას.
4 **გლეხი** ისე იმათ უშველის ღმერთი, რამე გამოაგზავნონ! ნეტა აქედან არაფერი წაეღო და ამათაც არ ეწიგოთ!

XVII

**ხმა იდუმალი.** ამ დღის შემდეგ სადარაჯოზე აღარავინ დამდგარა და შეფუნიდან წყალობას აღარავინ ელოდა. რადგან წაბლარელებმა წერა-კითხვა არ იციოდნენ, ამიტომ ერთი ბავში, რომელმაც გაჭირვებით იცოდა ჭყრა, მოიწვიეს სადღაც ქალაქიდან ნაგლეჯი, შემოუსხდნენ ბავშს გარშემო და დაიწერეს შემდეგი:

XVIII

1 **გლეხი** გაუგზავნოთ ეს წერილი ამ ჩვენ ყოფილ სტუმრებს! უსაყვედუროთ მაინც.
2 **გლეხი** უსაყვედუროთ კი არა, აქ რომ მოიპოვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიმე ხელში, ცოცხალს არ გაუშვებ.

3 გლეხი იმათი მიზეზით ამოვარდა ჩვენი სოფელი! არავის არაფერი გააჩნია!

4 გლეხი აბა წაიკითხე ბიძია, რა დასწერე!

**ბავში:** ჩვენო შეფებო! წელიწადზე მეტი უცადეთ თქვენგან წყალობას, მაგრამ ფუჭი გამოდგა ყველაფერი. თუ მარტო იმიტომ ჩამოდით, რომ გესვათ და გეჭამათ, ტყუილები რაღა საჭირო იყო—გეთქვათ და ისედაც გცემდით პატივს. თქვენ დაპირებულს ვინ დაეძებს, ნეტა ჩვენი რაც გვქონდა, ის არ მოგესპოთ. ელექტრონიც თქვენ გაინათეთ და ტრაქტორებით თქვენ დახანით, მხოლოდ ერთი სიკეთე მაინც გვიქენით: თქვენ რომ სტუმრად იყავით ჩვენთან. დავკალით ყველა წვრილფეხები. დღეს სოფელში არავის მოეპოვება არც ბატი, არც ინდაური, არც ქათამი. ქენით სიკეთე და გამოგვიგზავნეთ [illegible] კვერცხები მაინც. აქ ერთი დაკუნტებული [illegible] გვყავს, იმას დავაჯენთ ზედ და ცოტას მაინც გამოვატეხიებთ".

XIX

**ხმა იდუმალი:** ასე დასრულდა შეფობა სოფელ წაბლარაზე და მას აქეთ ვერც ერთ შეფს ვერ გაუბედავს ამ სოფელში შესვლა.

ჯ.

# ლევარსი ოსოოხაძე

## „რომეო და ჯულიეტა"

შაბათობით, როგორც ეს ჩვეულებრივად არის ჩვენში, ლევარსი ესტუმრებოდა სიმამრს და საცოლოს საჩუქრებს მიუტანდა.

ედუკისაც, რასაკვირველია, უხაროდა შაბათი.

ბებია, რომელიც ას წელიწადს ერთი ფეხის ნაპიჯზე ეპარებოდა, სიხარულით ისე გაყოჩაღებულიყო, რომ ალიონისას მამლის ყივილიც კი ესმოდა.

მაგრამ სიხარულმა მას ვერ დაუბრუნა მეხსიერება.

ერთს შაბათს რომ სიძეს (ლევარსის) ეალერსებოდა, მეორე შაბათს როცა ისევ მოდიოდა სიძე, ვეღარ ცნობდა, თუ ხელახლა არ გააცნობდნენ.

სამაგიეროდ, დამჯდარს ვერ დაინახავდით. წარმოიდგინეთ, სიარული ისე უყვარდა, რომ პარასკევობით სოფლიდან რომ ოზურგეთში არ ჩასულიყო საპარასკეოზე, შეუძლებელი იყო.

---

— რა უნდა მივუტანო ხვალ ედუკის? ფული არა მაქვს? ორი დღე ვეხმარებოდი ყანაში მათეს, მაგრამ ფული არ მომცა... ისე მისვლა როგორ შეიძლება... რა უნდა ვქნა.—მაგრამ ლევარსის დაღვრემილ სახეს სიხარულის ნათელი გადაეკრა უცბად.

— დედაჩემს ერთს დედალს მოვპარავ საქათმიდან, ჩავარბენინებ ოზურგეთში, გავყიდი ხელად, ვიყიდი კამფეტს და მივუტან ჩემს ედუკის—

ასე მოიქცა ლევარსი.

— ლევარსი, სად მიგყავს მაგი დედალი?—ეკითხებოდენ ლევარსის სოფლელები, რომლებიც ქალაქიდან დაბრუნებულიყვენ.

— სიძე კაცი, და ქათმის ხელში დაჭერა გასაყიდათ გაგიგონია სადმე?—დასცინოდენ ისინი.

— უკაცრავად, გასაყიდად არ მიმყავს... ექიმს უნდა ვაჩვენო... ბრილიანტის ბეჭედი გადაყლაპა და კუჭიდან უნდა ამოუღოს, ისე რომ ქათამი არ მოკვდეს...

სხაპასხუპით მიაყარა ლევარსიმ სოფლელებს ეს სიტყვები...

— აბა, კაი ქათამი ვის უნდა... იაფად.—თითქოს თავისთვის იძახოდა ლევარსი, მაგრამ ვიღაცამ მაინც მოსწია თავისკენ.

ლევარსი შემოტრიალდა,—და მის წინ იდგა ედუკის ბებია...

ლევარსი შეცბა... მიიხედ-მოიხედა...

— მადლობა ღმერთს, ედუკი არ ახლავს... ეს ბებრუხანა ვერც კი მიცნობს...

— რავა ჰყიდი ამ ვარიას, ბიჭო"—შეეკითხა ბებია და ქათამს ხელით წონვა დაუწყო...

— ბიჭი არა სიძე ვარ შენი—გაიფიქრა ლევარსიმ და ხმაგამოცვლილით უთხრა:

— რავა ჰყიდი ამ ვარიას, ბიჭო—შეეკითხა ბებია ვარია კი არა კბილებიანი დედალია...

— სიძეს ვეღი ხვალ, და...

— მისწრებაა, ბატონო, მისწრება... ჩაასაცივეთ, და ისეთი იქნება, რომ თქვენი სიძე თითებს ჩააჭმევს შიგ... იაფად დაგითმობ... სიძე გყოლია და კარგი სადილი რომ არ დაახვედრო, ეწყინება... მეც ასე ვარ... ხვალ ცოლოურს მივდივარ და დედამთილმა რომ კაი სადილი არ დამახვედროს, ქალს დავუტოვებ...

— ვაი, მას ვისიც სიძე შენა ხარ... კაი რამ უშოვნიხარ, კაი მას მოუვა—გაიფიქრა ბებიამ და ქათამზე მოურიგდა.



უკვე ღამდებოდა...

ლევარსი ქალაქიდან დათვსავით მოძუნძულობდა.

რაღაც თეთრი დაინახა.

მას ცხვირსახოცი ეგონა და მივარდა...

მაგრამ წიგნის სურათიანი ფურცელი იყო.

ჯიბეში ჩაიდო და როცა სახლში მივიდა, მაშინ ნახა.

ოომეო და ჟულიეტა იყო სურათზე, როცა ღამით

რომეო და ჯულიეტა იყო სურათზე, როცა ღამით ცქერის ჯულიეტა.

ნემეცური წარწერა იყო, მაგრამ ლევარსი მაინც მიხვდა, თუ რაში იყო საქმე.

— რა საუცხოვო რამ არის... მეც ასე უნდა ვქნა...

მეორე დღეს ლევარსი გამოეწყო და ცოლოურს წავიდა.

— მესერიც კი იცინის, შენ რომ ეზოში ჩამოხვალ—მიესალმა სიმამრი და ისე მაგრად აკოცა, რომ ლევარსის კიდეც ეტკინა...

ბებიას კიდევ გააცნეს...

— ნამდვილი თავადია...—ფიქრობდა ბებია, რომელიც ლევარსის უცქეროდა...

— დედაბერი... რას მიცქერის... ვაი თუ გუშინდელი ახსოვს...

მაგრამ ტყვილად სწუხდა ლევარსი.

---

დაღამდა.

ყველა დაწვა.

ედუკი და ლევარსი კიდევ „ჭუკჭუკობდენ“.

ლევარსის მოაგონდა: **„რომეო და ჯულიეტა“.**

ყაბალახი თავიდან მოიხადა.

გამოაბა ბალკონის მოაჯირზე.

— ლევარსი, რას შვრები?—გაკვირვებით შეეკითხა ედუკი.

— მე ეხლა უნდა წავიდე—

— მერე—და ეს რად ჰქენი?

— აქედან უნდა გადავიდე.

— აკი კიბე აქ არის!...

მაგრამ ლევარსიმ ფეხი გადასდგა მოაჯირზე, გამოკიდებულ-მიმაგრებულ ყაბალახს ფეხებით დაეყრდნო და რომელიც მზად იყო.

### ქორწინება

ჩვენ ლევარსის ქორწინებაზე არაფერს ვიტყოდით რადგან ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ქორწინება, სრულიად ჩვეულებრივი წესით მოხდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ პატარა ჭიქა'ჲ მაგივრად, ლევარსის ჯვარისწერის დროს ყანწი ეჭირა ხელში, რაც დამამ-



ტკიცებელი იყო იმისა, რომ ლევარსი „მსმელი“ კაცია.

ლევარსი, როცა ქალის მოსაყვანად მიდიოდა, დედამ დაარიგა:

— შვილო, როცა ჯვარისწერის დროს მღვდელმა ერთად დაგაყენოს ედუკისთან, ქალს მოასწარი და ფეხი ფეხზე დაადე...

— კი მარა, რომ ეტკინება?

— არა უშავს... ასე უნდა, შვილო... როცა ასე იზამ, ცოლი შენი მორჩილი იქნება... მამაშენმაც ასე მიყო მე... და ამიტომ არის, რომ ყველაფერში მისი მორჩილი ვარ...

მაგრამ ასე დაარიგა მოხუცმა ბებიამ ედუკიც.

და როცა ლევარსიმ ჯვარისწერის დროს დააპირა ედუკის ფეხზე ფეხის დაჭერა, ედუკიმ უკვე მოასწრო და ისე მაგრად დააწვა, რომ ლევარსიმ სიმწრისაგან იყვირა.

ეს იყო და ეს, რაც მოხდა ჯვარისწერის დოს. ჩვენ აქ იმიტომ შევეხეთ ამ ამბავს, რომ ადამიანის ცხოვრებაში სამ უმთავრეს მოვლენას აქვს მნიშვნელობა: დაბადებას, ქორწინებას და სიკვდილს.

ზმუკი.

## მჭყვიალა პაგონები

ერთხელ კაზარმაში, კერენსკის დროს, მიმიხმო თავის კაბინეტში პოლკოვნიკმა ოსეპიანცმა; მან იცოდა, რომ მე ბოლშევიკი ვარ.

— მითხარი, ჩემო მეგობარო, რა განსხვავებაა ორ და ერთ პალატიან მმართველობის შორის?

განვუმარტე.

— ოჰო! კეთილი! მესმის!—წამოხტა პოლკოვნიკი და თვალები აუბრიალდა.

— ამნაირათ, ერთპალატიან წესწყობილების დროს უმრავლესობა გლეხები იქნება...

— დიახ.

— ამნაირათ გლეხები შესძლებენ ისეთი კანონის გამოცემას, რის ძალით ჩვენ ჩამოგვერთმევა მიწა?

— აშკარაა.

— ვაი, ვაი! ეხლა მესმის; ჭკვიანი თავი ჰქონიათ ბოლშევიკებს, ჭკუიანი! და ამიტომ არ უნდა შევკრათ ჩვენ კავშირი ძველ კლასებთან?!! ეს საუცხოვოა! აი თავი! ასე რომ, ჩვენ, აზნაურები უნდა მოვისპოთ?! კარგია! ეხლა შეგიძლია წახვიდე, ჩემო კეთილო! და პოლკოვნიკი გაეხვია კაეშნიან ფიქრთა მორევში ერთ პალატიან მართველობის გამო. მეორე პოლკოვნიკი—რიაბცევი მტკიცეთ იყო. კრემლის კაზარმაში, 56 სადარაჯო ათასეულში ჯარისკაცებით გარშემორტყმული ის დინჯათ და დარწმუნებით ეუბნებოდა მურალოვს:

— დიახ! რას მეუბნებით და მაშინებთ? საკმარისია ხუთი წუთი! ერთი დაველაპარაკო ფრონტს პირდაპირი მავთულით და თქვენი ხსენებაც გაჰქრება! დიახ!

— ნუ ჩქარობ, ალტაცება შეაკვეცე პოლკოვნიკო! აფრთხილებდა რიაბცევს ამხანაგი იორასლავსკი.

გავიდა დრო... იმავე კრემლში, ღამ-ღამობით, მიძინების სობოროს გვერდით შენობაში, პოლკოვნიკი რიაბცევი, კაპიტანი ნაუმოვი, პოლკოვნიკი ოსეპიანცი და კიდევ სხვა პოლკოვნიკები, როგორც განწირული ხალხი, აუჩქარებლათ ვარაუდობდენ: რამდენ ხანში შეიძლება იმ სენის მოშორება, რომელიც მოსკოვის საბჭოში მოკალათებულა და რომელსაც მოსკოვის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი ეწოდება.

არც ერთ იმათგანს აზრათაც არ მოსვლია, რომ ეს ნახევრათ ფარაჯაში და ნახევრათ მოქალაქის სამოსში გამოწყობილი ხალხი რამოდენიმე დღის შემდეგ მთავრობათ დაჯდება კრემლში. ხანდისხან ოსეპიანცი წამოიძახებდა:

— აქ არა მარტო ძალაუფლების, არაიედ მიწის საკითხიცაა. მიწას ბოლშევიკები გლეხებს მისცემენ და გლეხებმა, სალდათებმა მართლაც არ გაგვრეკონ!

ოსეპიანცმა ეს აზრი ახლო მჯდომ კაპიტანს გაუზიარა, რომელსაც სახე ნემეცური ჰქონდა, ხოლო ულუაშები კატის ულუაშებივით მეჩხერი.

კაპიტანი შეიჭმუხნა, გააფურთხა და წამოიყრანტალა:

— სისულელეა! ერთი კამანდირიკ არა ჰყავთ!

— მაინც... მიუგო პოლკოვნიკ ოსეპიანცმა.

ხკვინჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „სიკვდილის კლანჭებში“

(გაგრძელება).

ახლო-მახლოს მამლებმა ყივილი მორთეს.

— ყიყლიყოოო!.. იყივლებდა ერთი ხმადაკარგულ ოპერის მომღერალივით.

— რა იყოოო!.. პასუხს გასცემდა საიდღანაც ტენორი.

— ვინ იყოოო!.. დაუმატებდა მესამე ისეთის რიხით, თითქოს იტალია უკვე მოვლილი ჰქონდეს და ეხლა საგასტროლოთ იყოს მიწვეული ამერიკაში.

შუაღამეს კარგი ხნის გადასული იყო.

მალე გათენდებოდა კიდეც.

ერასტი კი იდგა უცნაურ წერილით ხელში და თავის საფიქრალს ფიქრობდა.

მოიგონა ყველა მანდილოსნები და ქალიშვილები, რომლებისთვის ორიოდე სიტყვა თუ უთქვამს როდისმე, მაგრამ ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდა იჭვის მიტანა, არ სჩანდა.

ბოლოს მისი აზრები ერთ ხნიერ დედაკაცზე შეჩერდა. იგი საქმეების მიმკერებლათ იყო იმ განყოფილებაში, სადაც ერასტი მსახურობდა.

— ნუთუ, ამ კუდიანის ოინებია ეს?.. გაიფიქრა ერასტიმ.

აი რისთვის ელრიჭებოდა ეს ქალი მას აგერ თვენახევარია.

ყოველ თხოვნას არაჩვეულებრივ ხალისით უსრულებდა.

— ბარბალე, ეტყვის მას ერასტი ქალალდებში ჩაფლული, თუ გაქვთ ჩემი ხათრი, გამიგეთ, როდისაა შემოსული ესა და ეს ქალალდი.

ბარბალე დატრიალდება, გაიქცევ-გამოიქცევა, და ორიოდ წუთის შემდეგ მშვენიერ დედოფლის მშვენიერ ღიმილით ერასტის მოახსენებს:

— ერასტი პავლოვიჩ, ქალალდი შემოსულია სწორედ ერთი თვის უკან, დილის 9 ს. და 47 წუთზე.

— დალახვროს ღმერთმა!.. წამოვარდება ზეზე ერასტი.

ბარბალეს მშვენიერი ღიმილი გახურებულ შამფურივით ხვდება გულზე.

— ვერ მითხარით მერე ამდენხანს?!. ერთი თვეა ქალალდი აუსრულებელი მაგიდაზე მიდევს, თქვენ კი ყურებსაც არ იპარტყუნებთ... არ მახსენებთ!..

ეხლა კი ბარბალეს ღიმილი ისეთ სიძლიერეს იღებს, რომ იმის გავლენის ქვეშ ორი კვირის მიცვალებულიც კი წამოვარდება ზეზე სიბრაზისაგან.

— ერასტი პავლოვიჩ, რა ვუყოთ მერე?..

და ამ „რა ვუყოთ“-ის შემდეგ ერასტი თმაში ხელებჩავლებული ქლოშინით განყოფილებიდან განყოფილებაში დარბის საქმის გამოსასწორებლად.

გაახსენდა ყველაფერი ეს ერასტის და ძალაუნებურად კბილები დააკრაჭუნა.

— უუ... კუდიანო!.. კუდიანო!.. გინდა მერე ქორწილის შემდეგ სული ამომართვა და დამზღვევ საზოგადოებიდან ათასი მანეთი მიიღო?.. არა... არა!..

ასეთ ფიქრებში გართული ერასტი უკვე შინისაკენ გაშურებას აპირობდა, რომ შორიდან რაღაც ტყაპა-ტყუპი მოისმა.

თითქოს მორბოდა ვიღაც.

ტყაპა-ტყუპი თანდათან ახლოვდებოდა.

ერასტი თავის კუთხეში გაინაბა და ჩაბნელებულ ქუჩას გააშტერა თვალები.

შვა ქუჩაში რაღაც შავი ლანდი მოქროდა.

სწორედ იმ ალაგას, სადაც ორმო იყო, ლანდი უცბად შეჩერდა და ხვნეშით რაღაცას ძებნა დაუწყო.

ალბად რასაც ეძებდა ვერ იპოვა და ორმოში ჩახტა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ლანდი ისევ ორმოს ზევით იყო.

ცოტა ხანს უძრავად იდგა და შემდეგ ნელი ნაბიჯით ქუჩას გამოყვა.

ერასტისთვის ნათელი იყო, თუ რა უნდოდა ამ კაცს. ის, ცხადია, წერილის ბედის გასაგებათ იყო, და ეხლა კმაყოფილი მიდიოდა შინისაკენ.

ლანდი თანდათან ახლოვდებოდა.

ერასტიმ მხრებში რაღაც ახალი ძალა იგრძნო.

ლანდი უკვე მის წინ იყო.

ერასტი უკვე მზად იყო, მტერს ყრონტში სცემოდა და იქვე შეუბრალებლად გაეგუდა, რომ გაკვირვებისგან კინაღამ ფეხებში ჩაიკეცა.

უცნობი უეცრად დადგა. ხელები ჰაერში გააფათურა თითქოს რაღაცას იჭერსო და ხმის ამოუღებლივ ერასტის ფეხებთან გაიშხლართა.

უცნაური ღამე იყო უცნაურობით სავსე.

ერასტი უცნობს დაწვდა. დიდხანს ატრიალა ერთი გვერდიდან მეორეზე, რომ როგორმე მოესულიერებინა, და ბოლოს როგორც იქნა, უცნობმა თვალები გაახილა.

ერასტიმ შვებით ამოიოხრა, და ასანთისაკენ წაიღო ხელი, რომ ცეცხლის შუქზე გამოერკვია, თუ ვისთან ჰქონდა საქმე.

კოლოფთან ერთად წერილიც ამოყვა.

ერასტი უკვე ჯიბეში გზავნიდა უკანასკნელს, რომ საშინელ ბიძგმა ისედაც ბნელ ღამეში თვალები დაუბნელა.

ეს იყო მადლობის მაგიერ.

როდესაც ერასტი გამოერკვა და ჯიბეებს დაუწყო სინჯვა, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მხოლოდ არსად სჩანდა უცნაურად ხელში ჩავარდნილი წერილი.

უკვე თენდებოდა.

როგორც შინა-წესების კარგად მცოდნე, იმ დღეს ერასტი განსაზღვრულ დროზე სამსახურში იყო.

წუხანდელ უძილობისა და თავგადასავლის შემდეგ ისე იყო მოთენთილი, როგორც ჰაერგამოშვებული რეზინის ბუშტი.

ხანდისხან ჩაყვინთავდა კიდევაც ქაღალდებზე, მაგრამ ამას ისე ეშმაკურად შვებოდა, რომ გამოუცდელ თვალს ეს ჩაყვინთება მეტის-მეტი და ღრმა ჩაფიქრება ეგონებოდა.

ხუმრობა ხომ არ იყო ამდენ ქაღალდის შესრულება.

მხოლოდ რაც შეეხება ისეთ გამოცდილ და გამობრძმედილ არსებას, როგორიც ბარბალე იყო, იმის თვალებს ერასტის ასეთი მდგომარეობა, ცხადია, არ გამოეპარებოდა.

— ერასტი პავლოვიჩ!.. გადასძახა მან ერასტის, როცა უკანასკნელმა მორიგ ჩაყვინთების თუ ჩაფიქრების დროს ცხვირი კინაღამ სამელნეში ჩაყო.

— თქვენ რაღაც უძილობა გეტყობათ... გიქეიფიათ, როგორც გავს.

ერასტი შეკრთა.

ხომ არ ნიშნავდა ეს ბრძოლის დაწყებას.

მაგრამ საიდუმლოების სახალხოთ გამომჟღავნება ერასტის ჩვეულებაში არ იყო.

— არა... უპასუხა მან უკმაყოფილოდ. ისე, სხვა საქმე იყო...

— ჰააა... სხვა საქმე... გააგრძელა გაწითლებულმა ბარბალემ ხმა და თავი მორცხვად დახარა.

ერასტის ტანში გააჟრჟოლა.

ეს გაწითლება ყველაფერს ნათლად ამტკიცებდა.

გაქრა უკანასკნელი იმედიც. საშველი არ იყო.

წერილის შინაარსი მას მშვენივრად ახსოვდა, და განსაკუთრებით კი ის ადგილი, სადაც მსხვილ ასოებით გარკვევით ეწერა:

**„ვერ გიშველით ვერც მილიცია, ვერც გაქცევა და ვერც გაფრენა“.**

მდგომარეობა უარესდებოდა.

ასე გავიდა სამი დღე.

ერასტის მაინც ვერაფერი გარდაეწყვიტა.

საბედისწერო ორშაბათი თანდათან ახლოვდებოდა.

ერთ საღამოს ერასტის შეუჯდა მხრებში ეშმაკი, და იმ ქუჩისაკენ წაიყვანა, საიდანაც დაიწყო ყველა ეს უბედურება.

ცაზე ახალი მთვარის ნამგალი ეშმაკურად იღიმოდა. ერასტიმ დაკვირვებით აიარ-ჩაიარა ქუჩა, მაგრამ ორმო აღარსად იყო.

მხოლოდ ერთ ადგილას ახლა ელექტრონის ბოძი ესო. უთუოდ ორმო ამ ადგილას იყო.

ერასტი ბოძს მიეყრდნო. უცბად თითქოს რაღაც ახალმა აზრმა გაუელვა თავშიო, ბოძს გარშემო ტრიალი დაუწყო.

მოლოდინი სავსებით გაუმართლდა.

ბოძზე მიმაგრებული იყო ქაღალდის ნახევი, რომელზედაც იგივე ნაბეჭდ შრიფტით გამოყვანილი იყო:

**„გახსოვთ თუ არა ორშაბათი?..**

**იცოდეთ, რომ თავით-ფეხებამდე ჩვენს ხელში ხართ,**

**ლდინს გაგართმევთ!..**

თ. კ. მ.

ეხლა თვით მკითხველებმა განსაჯონ, თუ რა გარდაწყვეტილება უნდა მიეღო ამის შემდეგ ერასტის.

ბოლოს-და-ბოლოს რა არის ჯვარისწერა.

რას წარმოადგენს იგი.

ერთ დილას კანონიერი ქორწინება, მეორე დილას კანონიერი განქორწინება.

თუ მეორე დღეს არა, ერთი კვირის შემდეგ, ერთი თვის შემდეგ, განსხვავება ბევრი არაფერია.

აი, ასე ფიქრობდა ერასტი, და რა გასაკვირალია, რომ მეორე დღეს, როდესაც იგი კორიდორში ბარბალეს პირისპირ შეხვდა, მხიარულად გაუცინა მას, და იმ საღამოსვე ზედმეტ მუშაობის მიზეზით სამსახურში პაემანი დაუნიშნა.

თუ რა მოხდა ამ პაემანის დროს ერასტისა და ბარბალეს შორის, ამას ჩვენ დაწვრილებით არ აღვნიშნავთ, რადგან ეს გარეშე პირთათვის მართლაც რომ გულის დამაწვრილებელია.

აღვნიშნათ მხოლოდ მთავარ მომენტს.

როდესაც ოთახში ერასტისა და ბარბალეს გარდა არავინ იყო ერასტიმ დააგდო კალმისტარი მაგიდაზე, წამოდგა, გაისწორა ტანისამოსი და ბარბალეს მაგიდისაკენ გაეშურა.

ერთხელ კი ჩასძახა ყურში ვიღაცამ, სად მიდიხარ შე უბედუროო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ერასტი ბარბალეს წინ იდგა.

— ბარბალე, მიყვარხართ!.. წარმოთქვა მან ჩურჩულით და თვალები იატაკს მიაშტერა.

ბარბალემ ჯერ ამას სერიოზული ყურადღება არ მიაქცია, და ჩვეულებრივ მოვლენათ მიიღო, მაგრამ როდესაც შემდეგ ნათლად გამოირკვა, რომ ერასტი მზადაა თუნდ ხვალვე გაყვეს მას „მმაჩ“-ში, მაშინ საუბარმა სხვანაირი მიმართულება მიიღო.

თუ რაში მდგომარეობდა ეს საუბარი, ჩვენ არც ამას აღვნიშნავთ, საკმაოდ მოცვეთილი მომენტია, მხოლოდ ვიტყვით, რომ ერასტისათვის ამ საღამოს ყველაფერი გათავდა.

ყოველგვარი დამაბრკოლებელი მიზეზები გადალახულ იქმნა, და მეორე დღეს ბარბალეს ბინაზე პატარა ქორწილი იყო გამართული.

ჩვენ ამ ქორწილს არ დავსწრებივართ, რადგან მეფედედოფალს არ ვეცნეთ ღირსად დაპატიჟების, მხოლოდ როგორც ხმები გამოვიდა, სტუმრებსაც და მასპინძლებს კარგათ ესვათ, კარგათ ეჭამათ და შემდეგ მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. გარდა მასპინძლებისა, რა თქმა უნდა.

ასე დამთავრდა ამ ამბის პირველი ნაწილი, და თუ რა ნაყოფი გამოიღო შემდეგ ამ ქორწილმა*), ამაზე შემდეგ ნომერში იქნება მოთხრობილი.

მხოლოდ მკითხველებს კი გავახსენებთ, რომ **საბედისწერო ორშაბათი** ცხვირზე იყო.

# უმუშევარის ფიქრები

დავეხეტები კარდაკარ...
აბურძგნული მაქვს ფაფარი
სამსახურისა ძებნაში
სულ ამერია დავთარი.

უმუშევარი ვიყავი.
ვარ, მარადისაც დავრჩები,
რადგან თხოვნის წილ ყოველგან
გადამიშალეს დავთრები:

"კავშირის წევრი თუ არ ხარ,
შენ არ გექნება სტაჟიო,
ჯერ ჩაეწერე და შემდეგ,—
გერგება... ცივი მჭადიო.

კავშირში მოველ, იქ მითხრეს:
არ ვწერავთ უმუშევარსო,
ჯერ სამსახური იშოვეთ,
შემდეგ წიგნაკი შევავსოთ!."

ვფიქრობ და ვერ გამიგია,
სად შევაფარო თავია?
რადგან ვხედავ, რომ წინ მიდგას
დღე უარესი... შავია.

ვ. როკაპი.

# ვეძებდით, ვერ ვპოვეთ

ჩვენ ჩაის ფულებს ვეძებდით,
ჯიბეში მიმალულიყო.
წაველთ, მოვნახეთ ვასაძე
მელიტონ ჩვენი სულიკო.

მოვალთ ბათომში მინაზე,
მაგრამ ის გადასულიყო,
და ვერაფერი გავიგეთ:
სად იყო?.. სად წასულიყო.

(ნეტავი ჩვენს დანსაბამდი
ათასჯერ დაკარგულიყო).
როცა გავედით ქუჩაში,—
შემოგვხვდა ჩვენი „სულიკო".

მივმართეთ:—ჩქარა გვითხარი
სად არის ჩვენი ფულია...
ამდენხანს იმის ლოდინმა
ლამის წაიღოს გულია.

ჩვენ ვიცით:—ჩაი მოსკოვში
შენს მიერ გაყიდულია...
გვეყო ამდენი ლოდინი
ჩქარა ჩამოდი ფულია..

გვითხრა:—თუმც ჩაი მოსკოვში
ჩემს მიერ გაყიდულია,—
მაგრამ მერწმუნეთ—ბანკისგან
არ ამიღია ფულია.

თქვენ ნუ იდარდებთ, გამაგრდით,
ნუ გაგიტყდებათ გულია...
წადით, თვითონ თქვენ მოსთხოვეთ,
თორემ ის დაკარგულია.

—

ეს გვითხრა,—და მელიტონმა
ძირს, დაბლა თავი დახარა...
ჩვენ მივხვდით: ჩვენი ფულები
ცოცხალი იყო აღარა.




სადა ხართ, ჩვენო ფულებო,
ჭირიმე, თქვენ გენაცვალე?!
არა გცხვენიათ, ფულებო,
რომ მელიტონზე გაცვალეთ?!

„შმაგი".

# ჩემი მგზავრობა

ღმერთმა იცოდეს,—არავის
არ მაქვს მე მტრობა—შურია...
ცოტა ხანია მას შემდეგ
რაც მოვიარე გურია.

საჯავახოში მიკიტნებს
ჰქონდათ სიმღერა-ღაღანი.
სამტრედიიდან იწერენ
თუ დასჭირდებათ არღანი.

მე იმათ მახეს შორიდან
შემოვუარე განზედა.
ორ ცხენიანი მანქანით
დავადექ ზემოდ გზაზედა.

(აქ გავაგზავნოთ, ვინც არის
ამ ქვეყნად დასაკარგია...)
მეეტლეს ფული მივეცი,
ხელით ვათრიე ბარგია.

ჩოხატაურში მოვედი
მოვინახულე დალაქი.
ისე დამჩნება სახეზე,—
მიცქეროდა მთელი ქალაქი.

გამწარებულმა მაშინვე
დავსტოვე ხალხი, ბაზარი.
სამკითხველოში შევედი,
ვნახე იქ საქმე საზარი.

აქ უცხო-უცხო ამბებსა
უცქეროდა ჩემი თვალები.
სიყვარულს აკრიტიკებენ
გამგე და ვიღაც ქალები.

—

აქედან სახლში წავედი
რადგან დრო ბევრი არ მქონდა.
გზაში მე გლეხი შემომხვდა,
ურემით პური მიჰქონდა.

თურმე ნუ იტყვი გლეხობა
მისდევს ძველ რწმენის ხანასა;
მიცვალებულის დანახვას
ვერ ნახავთ ამისთანასა.

კაცი თუ მოკვდა სტირიან
სანთლით და გვირგვინებითა.
ჰგონიათ: მკვდარს აცხონებენ
სხვებისა გამოკვებითა.

ხუთასი კაცი ესწრება
ქელეხში სმა და ჭამაზე.
თვალებზე ცრემლი მომადგა,
და მეც ავტირდი ამაზე.

ხუთმეტი კაცი ვერ ადის
ღვინის ჩამოსხმას გუდიდან.
გული კინაღამ გამისკდა
და ამოვარდა კუდიდან.

ძნელ-ოღლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი სისწრაფე



აი შემთხვევა, როცა კუს ნაბიჯი უფრო ჩქარია ვიდრე...

## ახალი აღმოჩენები

სად არ ვიყავ, რა არ ვნახე
ყველგან შემოვიარეო:
ზოგან ქირი, ზოგან ლხინი,
კარგად გავიზიარეო.
და მივდივარ ტარტაროზჯან,
რაზნი-რაზნი ჯარითაო:
ზოგი დადის მოსეს კვერთხით,
ზოგი ქრისტეს ჯორითაო.
გალავინსკზე მოვდიოდი,
მოღრეცილი ცერითაო;
უცებ მღვდელი შემეფეთა,
შეკრეჭილი წვერითაო.
მივაძახე გამწარებით:
„ვოჯმნი—ვოჯმნი“ შენგანაო
და ისევ გზა გავაგრძელე,
მსურდა მოსვლა შენთანაო.
მღვდელის წვერით დანამსულსა,
ძლივს მომქონდა მუხლებიო;
ხალხი იდგა ამართული,
როგორც ძველი მუხებიო.
ამ დროს ჟანგო გამოვარდა,
რედაქტორის კუდითაო.
წინ დროული მიუძღოდა
მაიაკოვსკის ქუდითაო.
მეორე მხრით გაჩდა სიმონ,
ზამშის ფერჩატკებითაო;
ძველურსა თავადს ჰგავდა,
ბათინქით და კეპკითაო.
დედა რა მოხდა, რას ვხედავთ
რა დრო დაგვიდგა ესაო?
სიმონა გულში იცინის,
გრიგოლამ დაიკვნესაო!
ჟანგო ბურჟუა გამხდარა,
მეფობას ჩემობს ზესაო;
ჩაჩოვი დემნას პატიჟობს,
პარასკევია დღესაო!
ეხლა გაუწყებ ტარტაროზ,
უფრო ჭკვიანურს ჭირსაო;
ჭკუასთან ახლო, რომ არის,
ტყვილად გვგონია შორსაო:
ორშაბათ დილა გათენდა,
რა ცუდი დარი დგებაო;
ეს ჩვენი ბიჭი დათია
საომრად ემზადებაო...
წავიდა, იქ მიცუნცულდა,
სადაც ქალებს აქვს კრებაო:
ჩვენს შორის რამე რომ მოხდეს,
შენს ქმარს რა გაეგებაო.
დათანხმდა ქალი ქვანთალა:
— დე, იყოს შენი წევაო,
მაგრამ ქმარმა თუ გაგვიგო:
ცუდი დღე დაგვადგებაო.!
წავიდენ, იქ წაცუნცულდენ,
სადაც სიბნელე ჩნდებაო:
ამ დროს ბედნიერს საყვარლებს
თავს ქმარი წაადგებაო.
გარბის დათუნა სისწრაფით,
იქცევა ძლივს-ღა, დგებაო;
იმის ქმარს კარგი თოფი აქვს,
მეხივით გავადრებაო.
ძლივს ღა შევარდა ოთახში,
იმ წუთს ლოგინში წვებაო;
არ ეკარება მას ძილი.
ის კაცი ელანდებაო.
კიდევ ვიტყოდი ბევრს რამეს
მაგრამ არა მაქვს ნებაო;
რატომ არ მოვკვდი, როდესაც
მე ენა გამომებაო:
როცა შევხედავ სტუდენტებს,
თვალს ცრემლი მომადგებაო;
ნეტავ მათ მშობლებს, ბედნიერთ,
გმირები, რომ ეზრდებაო
მამას გონია:—ასული,
მე ჩამომივა ბრძენია...
არ აკლებს პუდრს და პამადას,
მოდის ყოველ-თვე ძღვენია.
მამა სოფელში ამაყობს,
მე კურსისტკა მყავს შვილიო
ამ დროს მის ასულს ბნელაში,
ვაჟებთან მოდის ძილიო.
მამამ რომ შვილი არჩინოს,
ემაგრე თქვენისთანაო;
ო, ეს ქვეყანა მომრგვალო,
რად არის დათარსულიო?!
რად არის ნეტავ, ვიცოდე,
რომ არა ტყდება რქებიო,
თუნდაც ათასჯერ რომ დასცხო,
მათრახები და ქვებიო!

**პადრონი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ ჟურნალ „ტარტაროზ“-ში ბათომიდან მთელი რიგი იუმორისტული წერილები თავსდება „ბლიკვი“-ს ფსევდონიმით.

რადგანაც ეს ფსევდონიმი ემსგავსება ჩემს ფსევდონიმს „ბლიკვაძე“-ს, რომლითაც მე „ეშმაკის მათრახში“ წერილებს ვათავსებდი, ამიტომ ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ, თითქოს, „ბლიკვი“ მე ვიყო.

ამისათვის გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ ფსევდონიმი ბლიკვი მე არ მეკუთვნის და არც ვირიცხები თქვენი ჟურნალის თანამშრომლად.

**პ. ც. ალ. მგელაძე.**

**რედაქციისაგან:** მოქ. ალ. მგელაძე არ არის ჟურ. „ტარტაროზი“-ს თანამშრომელი. ფსევდონიმი: **„ბლიკვი“** ეკუთვნის სხვა პიროვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მუშა-მოსამსახურემ და გლეხობამ

მკითხველმა უნდა გამოიწეროს თავისი

გაზ. „მუშა"

რომელიც ღირს თვიურად თავისი უფარო. ყოველკვირეული იუმო-რისტული დამატებით.

ჟურნალ

„ტარტაროზი"-თ

მხოლოდ თოთხმეტი შაური

გაზ. „მუშა" მთავარ კანტორას აქვს თა-ვისი განყოფილებები საქართველოს ყველა ქალაქებში, სადაც შეიძლება გაზეთის

გამოწერა



საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.